

**საქართველოს მთავრობის  
დადგენილება  
N184 2006 წლის 28 სექტემბერი ქ. თბილისი**

**შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოების,  
ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან  
ტრანზიტის ნებართვის გაცემის წესის შესახებ დებულებისა და  
შეზღუდულად ბრუნვადი მასალების სიის დამტკიცების  
თაობაზე**

1. “ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-7 პუნქტის და მე-40 მუხლის პირველი პუნქტის შესრულების მიზნით დამტკიცდეს:

ა) შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოების, ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვის გაცემის წესის შესახებ თანდართული დებულება;

ბ) შეზღუდულად ბრუნვადი მასალების თანდართული სია.

2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. დადგენილების ამოქმედება შეჩერდეს 2013 წლის 1 მაისამდე. *(29.08.2012 N 344)*

4. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრომ და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ამ დადგენილების მიღებიდან ექვსი თვის ვადაში შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოების, ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვის გაცემის წესთან დაკავშირებით ერთობლივად შეიმუშაონ და საქართველოს მთავრობას წარმოუდგინონ დადგენილების პროექტი „შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოების, ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვის გაცემის წესის შესახებ დებულებისა და შეზღუდულად ბრუნვადი მასალების სიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 სექტემბრის №184 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. *(29.08.2012 N 344)*

პრემიერ-მინისტრი

**ზურაბ ნოღაიდელი**

**დებულება**

**შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოების, ტრანსპორტირების, იმპორტის,  
ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვის გაცემის წესისა და პირობების  
შესახებ**

## თავი I. ზოგადი დებულებები

### მუხლი 1. დებულების მიზანი და რეგულირების სფერო

1. ეს დებულება შემუშავებულია „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და განსაზღვრავს შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოების, ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვის გაცემის წესსა და პირობებს.

2. დებულების მიზანია „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სანებართვო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო ნებართვების გაცემის წესისა და პირობების დადგენა.

### მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ დებულების მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1. შეზღუდულად ბრუნვადი მასალები – ნივთიერებები, ნედლეული, პროდუქცია, ნარჩენი, რომლებიც თავიანთი აქტიური თვისებების გამო განსაკუთრებით მავნე ზეგავლენას ახდენენ ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე, რის გამოც მათი ბრუნვა შეზღუდულია ან აკრძალულია საქართველოს ტერიტორიაზე. შეზღუდულად ბრუნვადი მასალები მხოლოდ ის ნივთიერებები, ნედლეული, პროდუქცია და ნარჩენია, რომლებიც შეტანილია წარმოდგენილი პროექტის დანართებში.

2. მკაცრად შეზღუდული საშიში ქიმიური ნივთიერება – ნივთიერება, რომლის ნებისმიერი სახით გამოყენება აკრძალულია ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის მიზნით, თუმცა დასაშვებია მისი ზოგიერთი სახით გამოყენება.

3. აკრძალული საშიში ქიმიური ნივთიერება – ნივთიერება, რომლის გამოყენება აკრძალულია ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის მიზნით.

4. ოზონდამშლელი ნივთიერება – „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმის A, B, C და E დანართებით განსაზღვრული და რეგულირებადი ნივთიერება, რომელიც არსებობს დამოუკიდებელი სახით ან ნარევი.

5. ემისია – გარემოში მავნე ნივთიერებების მოხვედრა.

6. „ბაზელის კონვენცია“ – ბაზელის 1989 წლის 22 მარტის კონვენცია „სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვებისა და მათი განთავსების კონტროლის შესახებ“.

7. „ევროგაერთიანების საბჭოს 1993 წლის 259/93 დებულება“ – ევროგაერთიანების საბჭოს 1993 წლის 1 თებერვლის 259/93EEG დებულება „ევროგაერთიანების ფარგლებში, ევროგაერთიანების ფარგლებს გარეთ ნარჩენების გადაზიდვების, ზედამხედველობისა და კონტროლის შესახებ“.

8. „როტერდამის კონვენცია“ – როტერდამის 2004 წლის 24 თებერვლის კონვენცია „ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებებითა და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში წინასწარ დასაბუთებული თანხმობის

პროცედურის შესახებ”.

9. ტრანსპორტირება – სატრანსპორტო საშუალებით შეზღუდულად ბრუნვადი მასალების (ტვირთის) გადაზიდვა სატრანსპორტო ქსელში.

**მუხლი 3. ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოები და გაცემის წესი** (23.09.2011 N 366 ამოქმედდეს 2011 წლის 1 დეკემბრიდან)

1. შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოების, ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოებია:

ა) საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო;

ბ) შეზღუდულად ბრუნვადი მასალების ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის შემთხვევაში ნებართვა ასევე შეიძლება გასცეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – შემოსავლების სამსახურმა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შემთხვევაში ნებართვის გაცემისათვის განაცხადი და ყველა საჭირო დოკუმენტაცია შეიძლება წარდგენილ იქნეს ელექტრონული ფორმით. ნებართვის აღება შესაძლებელი უნდა იყოს ნებისმიერ საბაჟო გამშვებ პუნქტში. (18.07.2012 N265)

3. შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოების, ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვის გაცემის წესი დგინდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს ერთობლივი ბრძანებით.

## თავი II. ძირითადი დებულებები

**მუხლი 4. ნებართვის გაცემის წესი**

1. ნებართვა გაიცემა მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით “ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონითა და ამ დებულებით დადგენილი წესითა და პირობებით.

2. შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოების ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვას გასცემს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო შინაგან საქმეთა სამინისტროს (აკრძალულ და მკაცრად შეზღუდული ნივთიერებების შემთხვევაში), სოფლის მეურნეობის სამინისტროსა (აკრძალულ და მკაცრად შეზღუდული პესტიციდების შემთხვევაში) და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (პირველ და მე-3 დანართში მითითებული მასალების შემთხვევაში) (შეზღუდულად ბრუნვადი მასალების ტრანსპორტირების შემთხვევაში) დასკვნის საფუძველზე.

3. იმ შემთხვევაში, თუ შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოება მოითხოვს მშენებლობის ნებართვას, იგი გაიცემა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11

აგვისტოს N140 დადგენილებისა და “გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ” დებულების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2005 წლის 1 სექტემბრის N154 დადგენილების შესაბამისად.

4. შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოების (ნარჩენის გარდა), ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო მონაწილეობენ სხვა ადმინისტრაციული ორგანოს სახით „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

5. მე2 დანართში შესული მასალების იმპორტის კვოტირების მექანიზმი განისაზღვრება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მონრეალის ოქმის მოთხოვნების შესაბამისად შედგენილი ყოველწლიური ბრძანებით.

6. ნებართვის გამცემი ვალდებულია „ერთი სარკმლის პრინციპით“ მოიპოვოს სხვა ადმინისტრაციული ორგანოს სახით მონაწილეთა დასკვნები.

7. მე4 და მე5 დანართებში მითითებული მასალების ნებართვა გაიცემა „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის, ბაზელის კონვენციისა და ამ დებულების მოთხოვნების შესაბამისად.

### **მუხლი 5. ნებართვის მისაღებად წარსადგენი საბუთები**

1. ნებართვის მაძიებელი ნებართვის მისაღებად საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარუდგენს წერილობით განცხადებას. ნებართვის მიღების თაობაზე განცხადების წარდგენა, განხილვა და წარმოებაში მიღება ხორციელდება “ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის 25ე მუხლით დადგენილი წესით.

2. “ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის 25ე მუხლით გათვალისწინებული საბუთების გარდა ნებართვის მისაღებად წარსადგენ განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის მიღების შემთხვევაში წარდგენილ უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა.ა) პროდუქციის წარმოშობის სერტიფიკატი;

ა.ბ) შესაბამისობის სერტიფიკატი;

ა.გ) ხელშეკრულების ასლი;

ა.დ) მონაცემები ტვირთის შეფუთვისა და ნიშანდების შესახებ;

ბ) ექსპორტის შემთხვევაში დამატებით წარდგენილ უნდა იქნეს მიმღები ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს თანხმობა;

გ) შეზღუდულად ბრუნვადი მასალების ტრანსპორტირების ნებართვის მისაღებად წარდგენილ უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტაცია:

- გ.ა) ინფორმაცია ტრანსპორტის სახეობის შესახებ;
- გ.ბ) სახიფათო ტვირთის გადასაზიდი ტრანსპორტის სპეციალური აღჭურვილობის შესახებ;
- გ.გ) მოწმობა ტრანსპორტის მართვისათვის სპეციალური მომზადების შესახებ;
- გ.დ) წერილობითი ინფორმაცია ტრანსპორტისა და ტვირთის შესაბამისი ნიშანდების შესახებ;
- გ.ე) წერილობითი ინფორმაცია სახიფათო ტვირთის გადაზიდვის მარშრუტთან დაკავშირებით;
- გ.ვ) ავარიულ შემთხვევებში რეაგირებისათვის სამოქმედო გეგმის პროექტი;
- დ) შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოების (ნარჩენების გარდა) ნებართვის მისაღებად წარდგენილ განაცხადს უნდა ახლდეს შემდეგი დოკუმენტაცია:
  - დ.ა) ტექნოლოგიური პროცესის მოკლე აღწერა;
  - დ.ბ) ტექნოლოგიური პროცესის შედეგად მისაღებ ნივთიერებათა ჩამონათვალი;
  - დ.გ) იმ ღონისძიებათა დეტალური აღწერა, რომლებიც დაგეგმილია გარემოსა და ადამიანზე ზემოქმედების შესამცირებლად;
  - დ.დ) მოსალოდნელი ემისიის მოცულობა და სახეობა;
  - დ.ე) ემისიის მოცულობის დასადგენად დაგეგმილი მეთოდები;
  - დ.ვ) საწარმოო პროცესის შედეგად მიღებული ნარჩენების სახეები, ოდენობა, მათი განთავსების შესაძლო ადგილები, ნარჩენების შესამცირებლად და გადასამუშავებლად დაგეგმილი ღონისძიებები და სქემა;
  - დ.ზ) ტექნოგენური ავარიების თავიდან აცილებისათვის დაგეგმილი უსაფრთხოების ზომები.

## **მუხლი 6. ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი და უარის გასაჩივრების წესი**

შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოების (ნარჩენების გარდა), ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვების გაცემაზე უარის თქმის საფუძველი და მათ გაცემაზე უარის გასაჩივრების წესი განისაზღვრება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

## **მუხლი 7. ნებართვის გამცემის უფლებამოვალეობანი**

ნებართვის გამცემის უფლებამოვალეობანი განისაზღვრება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 29 მუხლით.

## **მუხლი 8. სანებართვო მოწმობის ფორმა**

შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოების (ნარჩენების გარდა), ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის სანებართვო მოწმობის ფორმა განისაზღვრება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი

რესურსების მინისტრის ნორმატიული აქტით.

### **მუხლი 9. სანებართვო მოწმობის დაკარგვა ან დაზიანება**

ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო მოწმობის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში გამოიყენება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 31ე მუხლით განსაზღვრული დებულებები.

### **მუხლი 10. ნებართვის მოქმედების ვადა**

1. შეზღუდულად ბრუნვადი მასალების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვა გაიცემა 2 წლამდე ვადით.

2. შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოების ნებართვა გაიცემა 10 წლამდე ვადით.

3. შეზღუდულად ბრუნვადი მასალების ტრანსპორტირების ნებართვა გაიცემა 5 წლამდე ვადით.

### **მუხლი 11. სანებართვო პირობების შესრულების კონტროლი**

1. ამ დებულებით განსაზღვრული ნებართვის მფლობელების მიერ სანებართვო პირობების შესრულების კონტროლს ახორციელებს ნებართვის გამცემი ორგანო.

2. სანებართვო პირობების შესრულების კონტროლისა და ნებართვის გაუქმების წესი განისაზღვრება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით.

## **თავი III. დასკვნითი დებულება**

### **მუხლი 12. ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი**

დებულებაში ცვლილებები ან/და დამატებები შედის საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დამტკიცებულია  
საქართველოს მთავრობის  
2006 წლის 28 სექტემბრის  
N184 დადგენილებით

**შეზღუდულად ბრუნვადი მასალების სია**

**დანართი N1**

როტერდამის კონვენციის მესამე დანართით და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის N133/ნ (26.03.2001 წ.) ბრძანებით (საქართველოს ტერიტორიაზე წარმოების, გამოყენებისა და ექსპორტ-იმპორტის აკრძალვას და მკაცრად შეზღუდულ გამოყენებას დაქვემდებარებული) განსაზღვრული საშიში ქიმიური ნივთიერებების ნუსხა

N	ქიმიური ნივთიერება	საერთაშორისო სარეგისტრაცი ო ნომერი (CAS)	გამოყენების კატეგორია	გადაწყვეტილება
1	2	3	4	5
1	ვერცხლისწყლის შემცველი ნაერ-თები, მ.შ. ვერცხლისწყლის არაორ-განული ნაერთები ალკილვერ-ცხლისწყლის ნაერთები, აგრეთვე ალიკოლიქსიალკილის და არილი-რებული ვერცხლისწყლის ნაერთები		პესტიციდები	აკრძალულია
2	ალდრინი	309-00-2	პესტიციდები	აკრძალულია
3	ქლორდანი	57-74-9	პესტიციდები	აკრძალულია
4	დილდრინი	60-57-1	პესტიციდები	აკრძალულია
5	დდტ	50-29-3	პესტიციდები	აკრძალულია
6	ენდრინი	72-20-8	პესტიციდები	აკრძალულია
7	HCH ჰექსაქლორციკლოჰექსანი	608-73-1	პესტიციდები	აკრძალულია
8	ჰეპტაქლორი	76-44-8	პესტიციდები	აკრძალულია
9	ჰექსაქლორბენზოლი	118-74-1	პესტიციდები	აკრძალულია
10	კამფექლორი (ტოქსაფენი)	8001-35-2	პესტიციდები	აკრძალულია
11	ნიტროფენი	1836-75-5	პესტიციდები	აკრძალულია
12	1.2. დიფრომეთანი	106-93-4	პესტიციდები	აკრძალულია
13	1.2. დიქლორეთანი	107-06-2	პესტიციდები	აკრძალულია
14	პენტაქლორეფენოლი და მისი მარილები და ეთერები	87-86-5	პესტიციდები	აკრძალულია
15	ეთილენ ოქსიდი	75-21-8	პესტიციდები	აკრძალულია
16	დინოსები და მათი მარილები და ეთერები	88-85-7	პესტიციდები	აკრძალულია
17	ბინაპაკრილი	485-31-4	პესტიციდები	აკრძალულია
18	კაპტაფოლი	2425-06-1	პესტიციდები	აკრძალულია
19	კვინტოზანი, მედექსა – ქლორ-ბენზოლი 1გ/კგ – ზე ან ედპენტა-ქლორბენზოლი 10გ/კგ შემცვე-ლობით	82-68-8	პესტიციდები	აკრძალულია
20	2,4,5-T და მათი მარილები და ეთერები	93-76-5	პესტიციდები	აკრძალულია
21	ლინდანი	58-89-9	პესტიციდები	აკრძალულია
22	ფტორაცეტამიდი	640-19-7	პესტიციდები	აკრძალულია
23	ქლორდიმეფორმი	6164-98-3	პესტიციდები	აკრძალულია
24	ქლორბენზილატი	510-15-6	პესტიციდები	აკრძალულია
25	მარექსი	2385-85-5	პესტიციდები	აკრძალულია

26	ქლორპიკრინი	76-06-2	პესტიციდები	აკრძალულია
27	მონოკროტოფოსი (ხსნარი რომელიც შეიცავს 600გ/ლ აქტიურ ინგრედიენტზე მეტს)	6923-22-4	განსაკუთრებით საშიში პესტიციდური შემადგენლობა	აკრძალულია
28	მეტამიდოფოსი (ხსნარი, რომელიც შეიცავს 600გ/ლ აქტიურ ინგრედიენტზე მეტს)	10265-92-6	განსაკუთრებით საშიში პესტიციდური შემადგენლობა	აკრძალულია
29	ფოსფამიდონი (ხსნარი, რომელიც შეიცავს 1000გ/ლ აქტიურ ინგრედიენტზე მეტს)	13171-21-6	განსაკუთრებით საშიში პესტიციდური შემადგენლობა	აკრძალულია
30	მეთილპარათიონი (ემულგირე-ბადი კონცენტრატები ინგრედიენტის 19,5 %-ის შემცველობით და მეტი და ფხვნილოვანი შემადგენლობა აქტიური ინგრედიენტის 1,5%-ის შემცველობით და მეტი)	29988-00-0	განსაკუთრებით საშიში პესტიციდური შემადგენლობა	აკრძალულია
31	პარათიონი (ყველა ფორმულაციები – აეროზოლები, დუსტი, ემულგი-რებადი, კონცენტრატები, გრანულები, სველებადი ფხვნილები) გარდა სუსპენზიებისა კაფსულებში	56-38-2	განსაკუთრებით საშიში პესტიციდური შემადგენლობა	აკრძალულია
32	დიკოფოლი	115-32-2	პესტიციდები	მკაცრი შეზღუდვა
33	ა) მალეიქჰიდრაზიდი და მისი მარილები ბ) ქოლინი, პოტასიუმი, მალეიქის ჰიდრაზიდის შემცველი მარილები	123-33-1	პესტიციდები	მკაცრი შეზღუდვა
34	პოლიქლორირებული დიფენილები (PCB) გარდა მონო- და დიქლორბიფენილებისა	1336-36-3	სამრეწველო	აკრძალულია
35	პოლიქლორტერფენილები (PCT)	61788-33-8	სამრეწველო	აკრძალულია
36	პრეპარატები - PCB ან PCT 0,005%-ზე მეტი შემცველობით		სამრეწველო	აკრძალულია
37	პოლიბრომირებული დიფენილები	59080-40-9	სამრეწველო	აკრძალულია



	(PBB) ჰექსა ოქტა დეკა	27858-07-7 13654-09-6 36355-06-8		
38	აზბესტის ბოჭკო: კროკოდოლიტი ამოზიტი ანტოფილტი აქტინოლიტი ტრემოლიტი	12001-28-4 12172-73-5 77536-67-5 77536-66-4 77536-68-6	სამრეწველო	აკრძალულია
39	იუგილექ 121		სამრეწველო	აკრძალულია
40	(DBBT)	99688-47-8	სამრეწველო	აკრძალულია
41	2 – ნაფტილამინი	91-59-8	სამრეწველო	მკაცრი შეზღუდვა
42	ბენზიდინი	92-87-5	სამრეწველო	მკაცრი შეზღუდვა
43	4 ნიტრობიფენილი	92-93-3	სამრეწველო	მკაცრი შეზღუდვა
44	4 ამინობიფენილი	92-67-1	სამრეწველო	მკაცრი შეზღუდვა
45	ტრის (დიხრომპროპილი) ფოსფატი	126-72-7	სამრეწველო	მკაცრი შეზღუდვა
46	ტრის აზირინიდი - ფოფინოქსიდი	545-55-1	სამრეწველო	მკაცრი შეზღუდვა
47	იუგილექ 141	76253-60-6	სამრეწველო	მკაცრი შეზღუდვა
48	დნოკი და მისი მარილები (ისეთები, როგორცაა ამონიუმის, კალიუმისა და ნატრიუმის მარილები)	534-52-1, 2980-64-5, 5787-96-2, 2312-76-7	პესტიციდები	აკრძალულია
49	ტეტრაეთილტყვია	78-00-2	სამრეწველო	აკრძალულია
50	ტეტრამეთილტყვია	75-74-1	სამრეწველო	აკრძალულია
51	ეთილენ დიქლორიდი	107-06-2	პესტიციდები	
52	გასაფრქვევი ფხენილოვანი შემადგენლობები, რომლებიც შეიცავენ: ბენომილს, კონცენ-ტრაცია 7 ან მეტი პროცენტი; კარბოფურანს, კონცენტრაცია 10 ან მეტი პროცენტი; თირამს, კონცენტრაცია 15 ან მეტი პრო-ცენტი	17804-35-2 1563-66-2 137-26-8	განსაკუთრებით საშიში პესტიციდური შემად-გენლობა	აკრძალულია
53	მეტამიდოფოსი	6923-22-4	განსაკუთრებით საშიში პესტიციდური შემადგენლობა	აკრძალულია

<p>54. (14.05.20 12 N178 ამოქმედ დეს 2012 წლის 1 სექტემბ რიდან)</p>	<p>ტრიბუტილტინის ნაერთები:  ტრიბუტილტინის ოქსიდი  ტრიბუტილტინის ფტორიდი  ტრიბუტილტინის მეტაკრილატი  ტრიბუტილტინის ბენზოატი  ტრიბუტილტინის ქლორიდი  ტრიბუტილტინის ლინოლეატი  ტრიბუტილტინის ნაფტენატი</p>	<p>56-35-9  1983-10-4  2155-70-6  4332-36-3  1461-22-9  24124-25-2  85409-17-2</p>	<p>პესტიციდები</p>	<p>აკრძალულია</p>
<p>55. (14.05.20 12 N178ამო ქმედდეს 2012 წლის 1 სექტემბ რიდან)</p>	<p>ენდოსულფანი</p>	<p>115-29-7</p>	<p>პესტიციდები</p>	<p>აკრძალულია</p>
<p>56. (14.05.20 12 N178 ამოქმედ დეს 2012 წლის 1 სექტემბ რიდან)</p>	<p>ალაქლორი</p>	<p>15972-60-8</p>	<p>პესტიციდები</p>	<p>აკრძალულია</p>
<p>57. (14.05.20 12 N178 ამოქმედ დეს 2012 წლის 1 სექტემბ</p>	<p>ალდიკარბი</p>	<p>116-06-3</p>	<p>პესტიციდები</p>	<p>აკრძალულია.“.</p>

რიდან)				
--------	--	--	--	--

დანართი N2

"ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ" მონრეალის 1987 წლის ოქმის "A", "B", "C" და "E" დანართებით განსაზღვრული ოზონდამშლელი ნივთიერებები და მათი ნარეკები ("A" და "B" დანართები)

სისტემატური დასახელება	ქიმიური ფორმულა	დასახელება მონ-რეალის ოქმის მიხედვით (ინგლისურ ენაზე)	საიმპორტო კოდი ჰარმონიზებული სისტემით
1. ტრიქლორფტორმეთანი	CFCl <sub>3</sub>	CFC-11	29034 1000
2. დიქლორდიფტორმეთანი	CF <sub>2</sub> Cl <sub>2</sub>	CFC-12	29034 2000
3. ტრიქლორტრიფტორმეთანი	C <sub>2</sub> F <sub>3</sub> Cl <sub>3</sub>	CFC-113	29034 3000
4. დიქლორტეტრაფტორმეთანი	C <sub>2</sub> F <sub>4</sub> Cl <sub>2</sub>	CFC-114	29034 4100
5. ქლორპენტაფტორმეთანი	C <sub>2</sub> F <sub>5</sub> Cl	CFC-115	29034 4900
6. ქლორბრომდიფტორმეთანი	CBrClF <sub>2</sub>	Halon-1211	29034 6100
7. ბრომტრიფტორმეთანი	CBrF <sub>3</sub>	Halon-1301	29034 6200
8. დიბრომტეტრაფტორმეთანი	C <sub>2</sub> Br <sub>2</sub> F <sub>4</sub>	Halon-2402	29034 6900
9. ქლორტრიფტორმეთანი	CF <sub>3</sub> Cl	CFC-13	29034 5
10. პენტაქლორფტორმეთანი	C <sub>2</sub> FCl <sub>5</sub>	CFC-111	29034 5
11. ტეტრაქლორდიფტორმეთანი	C <sub>2</sub> F <sub>2</sub> Cl <sub>4</sub>	CFC-112	29034 5
12. ჰექსაქლორფტორპროპანი	C <sub>3</sub> FCl <sub>7</sub>	CFC-211	29034 5
13. ჰექსაქლორდიფტორპროპანი	C <sub>3</sub> F <sub>2</sub> Cl <sub>6</sub>	CFC-212	29034 5
14. პენტაქლორტრიფტორპროპანი	C <sub>3</sub> F <sub>3</sub> Cl <sub>5</sub>	CFC-213	29034 5
15. ტეტრაქლორტეტრაფტორპროპანი	C <sub>3</sub> F <sub>4</sub> Cl <sub>4</sub>	CFC-214	29034 5
16. ტრიქლორპენტაფტორპროპანი	C <sub>3</sub> F <sub>5</sub> Cl <sub>3</sub>	CFC-215	29034 5
17. დიქლორჰექსაფტორპროპანი	C <sub>3</sub> F <sub>6</sub> Cl <sub>2</sub>	CFC-216	29034 5
18. ქლორჰექსაფტორპროპანი	C <sub>3</sub> F <sub>7</sub> Cl	CFC-217	29034 5
19. ტეტრაქლორმეთანი	CCl <sub>4</sub>	CTC	29031 400
20. 1,1,1-ტრიქლორმეთანი	C <sub>2</sub> H <sub>3</sub> Cl <sub>3</sub>	TCA, MCF	29031 9

("C" დანართი)

სისტემატური დასახელება	ქიმიური ფორმულა	დასახელება მონრეალის ოქმის მიხედვით (ინგლისურ ენაზე)	საიმპორტო კოდი ჰარმონიზებულ სისტემით
1. დიქლორფტორმეთანი	CHFC <sub>2</sub>	HCFC-21	2903 49
2. წყალბადქლორფტორნახშირბადი	CHF <sub>2</sub> Cl	HCFC-22	2903 49
3. ქლორფტორმეთანი	CH <sub>2</sub> FCl	HCFC-31	2903 49
4. ტეტრაქლორფტორეთანები	C <sub>2</sub> HFCl <sub>4</sub>	HCFC-121(3)	2903 49
5. ტრიქლორდიფტორეთანები	C <sub>2</sub> HF <sub>2</sub> Cl <sub>3</sub>	HCFC-122(3)	2903 49
6. დიქლორტრიფტორეთანები	C <sub>2</sub> HF <sub>3</sub> Cl <sub>2</sub>	HCFC-123	2903 49
7. 2,2-დიქლორ-1,1,1-ტრიფტორეთანი	CHCl <sub>2</sub> CF <sub>3</sub>	HCFC-123	2903 49
8. ქლორტეტრაფტორეთანები	C <sub>2</sub> HF <sub>4</sub> Cl	HCFC-124	2903 49
9. 2-ქლორ-1,1,1,2-ტეტრაფტორეთანი	CHFClCF <sub>3</sub>	HCFC-124(3)	2903 49
10. ტრიქლორფტორეთანები	C <sub>2</sub> H <sub>2</sub> FCl <sub>3</sub>	HCFC-131	2903 49
11. დიქლორდიფტორეთანები	C <sub>2</sub> H <sub>2</sub> F <sub>2</sub> Cl <sub>2</sub>	HCFC-132	2903 49
12. ქლორტრიფტორეთანები	C <sub>2</sub> H <sub>2</sub> F <sub>3</sub> Cl	HCFC-133	2903 49
13. დიქლორფტორეთანები	C <sub>2</sub> H <sub>3</sub> FCl <sub>2</sub>	HCFC-141	2903 49
14. 1,1-დიქლორ-1-ფტორეთანი	CH <sub>3</sub> CFCl <sub>2</sub>	HCFC-141b(3)	2903 49
15. ქლორდიფტორეთანები	C <sub>2</sub> H <sub>3</sub> F <sub>2</sub> Cl	HCFC-142	2903 49
16. 1-ქლორ-1,1-დიფტორეთანი	CH <sub>3</sub> CF <sub>2</sub> Cl	HCFC-142b	2903 49
17. ქლორფტორეთანები	C <sub>2</sub> H <sub>4</sub> FCl	HCFC-151	2903 49
18. ჰექსაქლორფტორპროპანები	C <sub>3</sub> HFCl <sub>6</sub>	HCFC-221	2903 49
19. პენტაქლორდიფტორპროპანები	C <sub>3</sub> HF <sub>2</sub> Cl <sub>5</sub>	HCFC-222	2903 49
20. ტეტრაქლორტრიფტორპროპანები	C <sub>3</sub> HF <sub>3</sub> Cl <sub>4</sub>	HCFC-223	2903 49
21. ტრიქლორტეტრაფტორპროპანები	C <sub>3</sub> HF <sub>4</sub> Cl <sub>3</sub>	HCFC-224	2903 49
22. დიქლორპენტაფტორპროპანები	C <sub>3</sub> HF <sub>5</sub> Cl <sub>2</sub>	HCFC-225	2903 49
23. 1,1-დიქლორ-2,2,3,3,3-პენტაფტორპროპანი	CF <sub>3</sub> CF <sub>2</sub> CHCl <sub>2</sub>	HCFC-225ca(3)	2903 49
24. 1,3-დიქლორ-1,2,2,3,3-პენტაფტორპროპანი	CF <sub>2</sub> ClCF <sub>2</sub> CHClF	HCFC-225cb(3)	2903 49
25. ქლორჰექსაფტორპროპანები	C <sub>3</sub> HF <sub>6</sub> Cl	HCFC-226	2903 49
26. პენტაქლორფტორპროპანები	C <sub>3</sub> H <sub>2</sub> FCl <sub>5</sub>	HCFC-231	2903 49
27. ტეტრაქლორდიფტორპროპანები	C <sub>3</sub> H <sub>2</sub> F <sub>2</sub> Cl <sub>4</sub>	HCFC-232	2903 49
28. ტრიქლორტრიფტორპროპანები	C <sub>3</sub> H <sub>2</sub> F <sub>3</sub> Cl <sub>3</sub>	HCFC-233	2903 49
29. დიქლორტეტრაფტორპროპანები	C <sub>3</sub> H <sub>2</sub> F <sub>4</sub> Cl <sub>2</sub>	HCFC-234	2903 49
30. ქლორპენტაფტორპროპანები	C <sub>3</sub> H <sub>2</sub> F <sub>5</sub> Cl	HCFC-235	2903 49
31. ტეტრაქლორფტორპროპანები	C <sub>3</sub> H <sub>3</sub> FCl <sub>4</sub>	HCFC-241	2903 49
32. ტრიქლორდიფტორპროპანები	C <sub>3</sub> H <sub>3</sub> F <sub>2</sub> Cl <sub>3</sub>	HCFC-242	2903 49
33. დიქლორტრიფტორპროპანები	C <sub>3</sub> H <sub>3</sub> F <sub>3</sub> Cl <sub>2</sub>	HCFC-243	2903 49
34. ქლორტეტრაფტორპროპანები	C <sub>3</sub> H <sub>3</sub> F <sub>4</sub> Cl	HCFC-244	2903 49
35. ტრიქლორტეტრაფტორპროპანები	C <sub>3</sub> H <sub>4</sub> FCl <sub>3</sub>	HCFC-251	2903 49

36. დიქლორდიფტორპროპანები	$C_3H_4F_2 Cl_2$	HCFC-252	2903 49
37. ქლორტრიფტორპროპანები	$C_3H_4F_3 Cl$	HCFC-253	2903 49
38. დიქლორფტორპროპანები	$C_3H_5F Cl_2$	HCFC-261	2903 49
39. ქლორდიფტორპროპანები	$C_3H_5F_2 Cl$	HCFC-262	2903 49
40. ქლორფტორპროპანები	$C_3H_6F Cl$	HCFC-271	2903 49
41. დიბრომფტორმეთანი	$CHFBr_2$		2903 49
42. ბრომდიფტორმეთანი	$CHF_2Br$	HBFC-22B1	2903 49
43. ფტორბრომმეთანი	$CH_2FBr$		2903 49
44. ტეტრაბრომფტორმეთანი	$C_2HFBr_4$		2903 49
45. ტეტრაბრომდიფტორეთანი	$C_2HF_2Br_3$		2903 49
46. დიბრომტრიფტორეთანი	$C_2HF_3Br_2$		2903 49
47. ტეტრაფტორბრომეთანი	$C_2HF_4Br$		2903 49
48. ტეტრაბრომფტორეთანი	$C_2H_2FBr_3$		2903 49
49. დიბრომდიფტორეთანი	$C_2H_2F_2Br_2$		2903 49
50. ტრიფტორბრომეთანი	$C_2H_2F_3Br$		2903 49
51. დიბრომფტორეთანი	$C_2H_3FBr_2$		2903 49
52. ბრომდიფტორეთანი	$C_2H_3F_2Br$		2903 49
53. ბრომფტორეთანი	$C_2H_4FBr$		2903 49
54. ჰექსაბრომფტორპროპანი	$C_3HFBr_6$		2903 49
55. პენტაბრომდიფტორპროპანი	$C_3HF_2Br_5$		2903 49
56. ტეტრაბრომტრიფტორპროპანი	$C_3HF_3Br_4$		2903 49
57. ტრიბრომტეტრაფტორპროპანი	$C_3HF_4Br_3$		2903 49
58. დიბრომპენტაფტორპროპანი	$C_3HF_5Br_2$		2903 49
59. ჰექსაფტორბრომპროპანი	$C_3HF_6Br$		2903 49
60. პენტაბრომფტორპროპანი	$C_3H_2FBr_5$		2903 49
61. ტეტრაბრომდიფტორპროპანი	$C_3H_2F_2Br_4$		2903 49
62. ტრიბრომტრიფტორპროპანი	$C_3H_2F_3Br_3$		2903 49
63. დიბრომტეტრაფტორპროპანი	$C_3H_2F_4Br_2$		2903 49
64. პენტაფტორბრომპროპანი	$C_3H_2F_5Br$		2903 49
65. ტეტრაბრომფტორპროპანი	$C_3H_3FBr_4$		2903 49
66. ტრიბრომდიფტორპროპანი	$C_3H_3F_2Br_3$		2903 49
67. დიბრომტრიფტორპროპანი	$C_3H_3F_3Br_2$		2903 49
68. ტეტრაფტორბრომპროპანი	$C_3H_3F_4Br$		2903 49
69. ტრიბრომფტორპროპანი	$C_3H_4FBr_3$		2903 49
70. დიბრომდიფტორპროპანი	$C_3H_4F_2Br_2$		2903 49
71. ტრიფტორბრომპროპანი	$C_3H_4F_3Br$		2903 49
72. დიბრომფტორპროპანი	$C_3H_5FBr_2$		2903 49

73. დიფტორბრომპროპანი	$C_3H_5F_2Br$		2903 49
74. ბრომფტორპროპანი	$C_3H_6FBr$		2903 49
75. ბრომქლორმეთანი	$CH_2BrCl$		2903 49

(“E” დანართი)

მეთილბრომიდი	$CH_3Br$		2903 30
--------------	----------	--	---------

დანართი N3

**პრეკურსორები**

sistematuri dasaxeleba	qimiuri formula	CAS number (saerTaSoriso saregistracio nomeri)
1. N-აცეტილანტრანილის მჟავა	N-ACETHYLANTRANILIC ACID	89-52-1
2. იზოსაფროლი	ISOSAFROLE	120-58-1
3. 3,4-მეთილენ დიოქსიფენილ-2-პროპანონი	3,4 – METHYLENEDIOXYPHENYL-2-PROPANONE	4676-39-5
4. პიპერონალი	PIPERONAL	120-57-0
5. საფროლი	SAFROLE	94-59-7
6. 1-ფენილ-2-პროპანონი	1-PHENYL-2-PROPANONE	103-79-7
7. ძმარმჟავას ანჰიდრიდი	ACETIC ANHYDRIDE	108-24-7
8. ანტრანილის მჟავა	ANTRANYLIC ACID	118-92-3
9. აცეტონი	ACETONE	67-64-1
10. გოგირდმჟავა კონცენტრირებული (გარდა მისი მარილებისა)	SULPHURIC ACID	7664-93-9
11. ეთილის ეთერი	ETHYL ESTHER	60-29-7
12. მეთილეთილკეტონი	METHYL ETHYL KETONE	78-93-3
13. პიპერიდინი	PIPERIDINE	110-89-4
14. ტოლუოლი	TOLUOLE	108-88-3
15. ქლორწყალბადმჟავა კონცენტრირებული (გარდა მისი მარილებისა)	HYDROCHLORIC ACID	7647-01-0
16. ფენილძმარმჟავა	PHENYLACETIC ACID	103-82-2

**ბაზელის კონვენციის პირველი დანართით განსაზღვრული ნარჩენები  
(კონტროლირებადი ნარჩენების კატეგორიები)**

N რიგზე	ნარჩენების კოდი	ნარჩენების ჯგუფის დასახელება
1	Y1	სამედიცინო ნარჩენები, მიღებული საავადმყოფოებში, პოლიკლინიკებსა და კლინიკებში პაციენტების სამედიცინო მომსახურების შედეგად
	Y2	ფარმაცევტული პროდუქციის წარმოებისა და გადამუშავების ნარჩენები
3	Y3	გამოსაყენებლად უვარგისი ფარმაცევტული საქონელი, წამლები და პრეპარატები
4	Y4	ბიოციდებისა და ფიტოფარმაცევტული პრეპარატების წარმოების, მიღებისა და გამოყენების ნარჩენები
5	Y5	მერქნის კონსერვანტების წარმოების, მიღებისა და გამოყენების ნარჩენები
6	Y6	ორგანული გამხსნელების წარმოების, მიღებისა და გამოყენების ნარჩენები
7	Y7	მასალების სითბური დამუშავებისა და გაკეთილშობილების, ციანიდების შემცველი ნარჩენები
8	Y8	მინერალური ზეთები, რომლებიც უვარგისია თავდაპირველად დაგეგმილი გამოყენებისათვის
9	Y9	ნარჩენები ზეთი/წყალი, ნახშირწყალბადები/წყალი ნარეგებისა და ემულსიების სახით
10	Y10	გამოსაყენებლად უვარგისი პოლიქლორირებული ბიფენილების (პქბ) და/ან პოლიქლორირებული ტერფენილების (პქტ) და/ან პოლიბრომირებული ბიფენილების შემცველი ნივთიერებები და პროდუქტები ან მათი მინარევები
11	Y11	გამოხდით, დისტილაციით ან ნებისმიერი პიროლიზური დამუშავებით მიღებული ფისოვანი გამოსაყენებლად უვარგისი ნარჩენები
12	Y12	მელნის, საღებავების, პიგმენტების, ლაქებისა და ოლიფის წარმოების, მიღებისა და გამოყენების ნარჩენები
13	Y13	სინთეზური ფისების, ლატექსის, პლასტიფიკატორების, წებოების/შემკრავი მასალების წარმოების, მიღებისა და გამოყენების ნარჩენები
14	Y14	გამოსაყენებლად უვარგისი ქიმიური ნივთიერებები, მიღებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ან სასწავლო პროცესის დროს, რომელთა ბუნება ჯერ არ არის გამოკვლეული და/ან რომლებიც ახალია და რომელთა ზემოქმედება ადამიანზე და/ან გარემოზე არ არის შესწავლილი
15	Y15	ფეთქებადსაშიში ხასიათის ნარჩენები, რომლებიც არ ექვემდებარება სხვა კანონმდებლობას
16	Y16	ფოტოქიმიკატების ან ფოტომასალების დამუშავების მასალების წარმოების, მიღებისა და გამოყენების ნარჩენები
17	Y17	ლითონური და პლასტმასის ზედაპირების დამუშავების ნარჩენები
18	Y18	სამრეწველო ნარჩენების მოცილების ოპერაციების ნარჩენები
19	Y19	ლითონთა კარბონილები
20	Y20	ბერილიუმი; ბერილიუმის ნაერთები
21	Y21	ექსვალენტური ქრომის ნაერთები
22	Y22	სპილენძის ნაერთები
23	Y23	თუთიის ნაერთები
24	Y24	დარიშხანი; დარიშხანის ნაერთები
25	Y25	სელენი; სელენის ნაერთები
26	Y26	კადმიუმი; კადმიუმის ნაერთები
27	Y27	სტიბიუმი, სტიბიუმის ნაერთები
28	Y28	ტელური; ტელურის ნაერთები
29	Y29	ვერცხლისწყალი, ვერცხლისწყლის ნაერთები
30	Y30	თალიუმი, თალიუმის ნაერთები
31	Y31	ტყვია, ტყვიის ნაერთები

32	Y32	ფტორის არაორგანული ნაერთები, კალციუმის ფტორიდის გამოკლებით
33	Y33	არაორგანული ციანიდები
34	Y34	მჟავების ხსნარები ან მჟავები მყარ მდგომარეობაში
35	Y35	ფუძე ნაერთები ან მყარი ფუძეები
36	Y36	აზბესტი (ფხვნილი და ბოჭკო)
37	Y37	ფოსფორის ორგანული ნაერთები
38	Y38	ორგანული ციანიდები
39	Y39	ფენოლები, ფენოლის ნაერთები ქლორფენოლების ჩათვლით
40	Y40	ეთერები
41	Y41	ჰალოგენირებული ორგანული გამხსნელები
42	Y42	ორგანული გამხსნელები, ჰალოგენირებული გამხსნელების გარდა
43	Y43	პოლიქლორირებული დიბენზოფურანის ტიპის ნებისმიერი მასალები
44	Y44	პოლიქლორირებული დიბენზოპიდიოქსინის ტიპის ნებისმიერი მასალები
45	Y44	ორგანოჰალოგენური ნაერთები, გარდა იმ ჯგუფებისა, რომლებიც მოყვანილია ამ დანართის ჩამონათვალში (მაგ.: Y39, Y41, Y42, Y43, Y44)

**ბაზელის კონვენციის მეორე დანართით განსაზღვრული ნარჩენები  
(ნარჩენების კატეგორიები, რომლებიც საჭიროებენ განსაკუთრებულ განხილვას)**

N რიგზე	ნარჩენების კოდი	ნარჩენების ჯგუფის დასახელება
1	Y46	საცხოვრებელი სახლებიდან შეგროვებული ნარჩენები
2	Y47	საყოფაცხოვრებო ნარჩენების დაწვის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები

**დანართი N5**

**ევროგაერთიანების საბჭოს 1993 წლის 259/93 დებულებით დადგენილი ნარჩენების (წითელი, ყვითელი და მწვანე) სიები**

**ნარჩენების წითელი სია**

(RED LIST OF WASTES)

შენიშვნა: ქვემოთ მოყვანილ სიაში სიტყვები “შეიცავს” და “დაბინძურებულია” აღნიშნავენ, რომ ხსენებული ნივთიერება არსებობს იმ რაოდენობით, რომ: (ა) ხდის ნარჩენს საშიშად; ან (ბ) დაბრკოლებას უქმნის მის მეორეული გადამუშავებას გარემოსათვის უსაფრთხო ხერხით.

N	OECD-ის კოდი	ჰარმო-ნიზებული სისტემის (HS) კოდი	ნარჩენების დასახელება ქართულ ენაზე	ნარჩენების დასახელება ინგლისურ ენაზე
1	2	3	4	5
<p>RA. ძირითადად ორგანული შემადგენლობის ნარჩენები, რომლებიც შეიძლება შეიცავდნენ ლითონებსა და არაორგანულ მასალებს</p> <p align="center"><b>RA. WASTES CONTAINING PRINCIPALLY ORGANIC CONSTITUENTS, WHICH MAY CONTAIN METALS AND INORGANIC MATERIALS</b></p>				
1	RA 010	-	ნარჩენები, ნივთიერებები და საგნები, რომლებიც შეიცავენ ან	Wastes, substances and articles containing,



			დაბინ-პურებულია შემდეგი ნივთიერებე-ბით: პოლიქლორირებული ბიფენი-ლები (პკბ) და/ან პოლიქლორი-რებული ტერფენილები (პკტ) და/ან პოლიბრომირებული ბიფენილები (პბბ), ყველა ანალოგიური პოლი-ბრომირებული ნაერთის ჩათვლით, რომელთა კონცენტრაცია ტოლია ან აღემატება 50 მგ/გ-ზე	consisting of or contaminated with polychlorinated biphenyl (PCB) and/or polychlorinated terphenyl (PCT) and/or polybrominated biphenyl (PBB), including any other polybrominated analogues of these compounds, at a concentration level of 50 mg/kg or more
2	RA 020	-	გამოხდით, დისტილაციით ან ნებისმიერი პიროლიზური მეთოდით მიღებული ქვაბის სქელფისის (ასფალტის ცემენტის გარდა) ნარ-ჩენები	Waste tarry residues (excluding asphalt cements) arising from refining, distillation and any pyrolitic treatment
<p>RB. ძირითადად არაორგანული შემადგენლობის ნარჩენები, რომლებიც შეიძლება შეიცავდნენ ლითონებსა და ორგანულ მასალებს</p> <p>RB. WASTES CONTAINING PRINCIPALLY INORGANIC CONSTITUENTS, WHICH MAY CONTAIN METALS AND ORGANIC MATERIALS</p>				
3	RB 010	-	აზბესტი (მტვრისა და ბოჭკოს სახით)	Asbestos (dusts and fibres)
4	RB 020	-	კერამიკული ბოჭკო აზბესტის მსგავსი თვისებებით	Ceramic-based fibres of physico-chemical characteristics similiar to those of asbestos
<p>RC. ნარჩენები, რომლებიც შეიძლება შეიცავდნენ არაორგანულ ან ორგანულ მასალებს</p> <p>RC. WASTES WHICH MAY CONTAIN EITHER INORGANIC OR ORGANIC CONSTITUENTS</p>				
			ნარჩენები, რომლებიც შეიცავენ, შედგება ან დაბინპურებულია ნებისმიერი ქვემოთ მოყვანილი ნივთიერებით:	
			Wastes that contain, consist of or are contaminated with any of the following:	
5	RC 010	-	_ პოლიქლორირებული დიბენზო-ფურანის ჯგუფის ყველა სახის პროდუქცია	- Any congener of polychlorinated dibenzo-furan
6	RC 020	-	_ პოლიქლორირებული დიბენზო-დიოქსინების ჯგუფის ყველა სახის პროდუქცია	- Any congener of polychlorinated dibenzo-dioxin
7	RC 030	-	ანტიდეტონატორების ტეტრა-ეთილენტყვის შემცველი ლამი	Leaded anti-knock compounds sludges
8	RC 040	-	სხვა ჰიდროჟანგები, გარდა წყალბადის ზეჟანგისა	Peroxides other than hydrogen peroxide'

### ნარჩენების ყვითელი სია

(AMBER LIST OF WASTES)

დამოუკიდებლად იმისა, ჩართულია თუ არა ნარჩენები ამ ნუსხაში, მათი გადაზიდვა, როგორც ყვითელ ნუსხაში ჩართული ნარჩენებისა, შეიძლება არ იქნეს დაშვებული, თუ ისინი დაბინძურებულია სხვა მასალებით ისეთი ოდენობით რაც (ა) ზრდის ნარჩენებთან დაკავშირებულ რისკს იმგვარად, რომ იგი შეესაბამება ყვითელ ან წითელ ნუსხაში შეტანას, ან (ბ) დაბრკოლებას უქმნის მის მეორეულ გადამუშავებას გარემოსათვის უსაფრთხო ხერხით.

N	OEC D -ის კოდი	ჰარმო-ნი ზე-ბული სისტე-მის (HS) კოდი	ნარჩენების დასახელება ქართულ ენაზე	ნარჩენების დასახელება ინგლისურ ენაზე
1	2	3	4	5
AA. ლითონების შემცველი ნარჩენები AA. METAL BEARING WASTES				
<p>შენიშვნა: ორი ვარსკვლავით (**) აღნიშნული ნარჩენები შეიცავენ ნარჩენებს ნაცრის, ნალექის, წიდის, ხენჯის, ანართმევის, მტვრის, ფხვნილის, ლამისა და ბრიკეტების სახით – თუ ამგვარი ფორმით არსებული ნარჩენები არ არის ცალკე პოზიციით აღწერილი</p>				
1	AA 010	ex 2619 00	წიდა, ხენჯი და შავი მეტალურგიისა და ფოლადსახმელი წარმოების სხვა ნარჩენები**	Dross, scalings and other wastes from the manufacture of iron and steel **
2	AA 020	2620 19	თუთიის შემცველი ნაცარი და ნარჩენები**	Zinc ashes and residues **
3	AA 030	2620 20	ტყვიის შემცველი ნაცარი და ნარჩენები**	Lead ashes and residues **
4	AA 040	ex 2620 30	სპილენძის შემცველი ნაცარი და ნარჩენები**	Copper ashes and residues **
5	AA 050	ex 2620 40	ალუმინის შემცველი ნაცარი და ნარჩენები**	Aluminium ashes and residues **
6	AA 060	ex 2620 50	ვანადიუმის შემცველი ნაცარი და ნარჩენები**	Vanadium ashes and residues **
7	AA 070	2620 90	ლითონებისა და მათი ნაერთების შემცველი ნაცარი და ნარჩენები,** რომლებიც არ არის მოყვანილი ან ჩართული სხვა განყოფილებაში	ashes and residues ** containing metals or metal compounds not elsewhere specified or included
8	AA 080	ex 8112 91	თალიუმის შემცველი ნაცარი და ნარჩენები**	Thallium waste and residues**
9	AA 090	ex 2804 80	დარიშხანის შემცველი ნაცარი და ნარჩენები**	Arsenic waste and residues**
10	AA 100	ex 2620 90	ვერცხლისწყლის შემცველი ნაცარი და ნარჩენები**	Mercury waste and residues**
11	AA 110	-	ალუმინის წარმოების ნარჩენები, რომლებიც არ არის მოყვანილი ან ჩართული სხვა განყოფილებაში	Residues from alumina production not elsewhere specified or included

12	AA 120	-	გალვანიზაციური წიდა	Galvanic sludges
13	AA 130	-	ლითონთა ამოჭმის პროცესში მიღებული სითხეები	Liquors from the pickling of metals
14	AA 140	-	თუთის წარმოების ტუტე ნარჩენები, მტვერი და წიდა, ისეთები როგორცაა იაროზიტი, ჰემატიტი, ჰეტეტი და ა.შ.	Leaching residues from zinc processing, dusts and sludges such as jarosite, hematite, goethite, etc.
15	AA 150	-	კეთილშობილი ლითონები, რომლებიც შეიცავენ არაორგანული ციანიდების კვალის მქონე მყარ ნარჩენებს	Precious metal bearing residues in solid form which contain traces of inorganic cyanides
16	AA 160	-	კეთილშობილი ლითონების ნაცარი, წიდა, მტვერი და სხვა ნარჩენები, ისეთები როგორცაა:	Precious metal ash, sludge, dust and other residues such as:
17	AA 161	-	_ საბეჭდი პლატების დაწვის შედეგად წარმოქმნილი ნაცარი	Ash from incineration of printed circuit boards
18	AA 162	-	_ ფოტოფირების დაწვის შედეგად წარმოქმნილი ნაცარი	- Photographic film ash
19	AA 170	-	ტყვიის ბატარეები, მთლიანი ან დამსხვრეული	Lead-acid batteries or accumulators, whole or crushed
20	AA 180	-	აკუმულატორების გამოყენებული ბატარეები, არა ტყვისა, მთლიანი ან დამსხვრეული, აგრეთვე ბატარეებისა და აკუმულატორების წარმოების ნარჩენები, რომლებიც არ არის მოყვანილი ან ჩართული სხვა განყოფილებაში	Used batteries or accumulators, whole or crushed, other than lead-acid batteries, and waste and scrap arising from the production of batteries and accumulators, not otherwise specified or included
21	AA 190	8104 20	მაგნიუმის ნარჩენები და ჯართი, რომელთაც აქვთ აალების, ასევე თვითაალების უნარი ან რომლებიც წყალთან შეხებისას გამოყოფენ საშიშვლო ოდენობის აალებად გაზებს	Magnesium waste and scrap that is flammable, pyrophoric or emits, upon contact with water, flammable gases in dangerous quantities
<p>AB. ძირითადად არაორგანული შემადგენლობის ნარჩენები, რომლებიც შეიძლება შეიცავდნენ ლითონებსა და ორგანულ მასალებს</p> <p>AB. WASTES COUNTERING PRINCIPALLY INORGANIC CONSTITUENTS, WHICH MAY CONTAIN METALS AND ORGANIC MATERIALS</p>				
22	AB 010	2621 00	წიდა, ნაცარი და ნარჩენები, რომლებიც არ არის მოყვანილი ან ჩართული სხვა განყოფილებაში.	Slag, ash and residues, not elsewhere specified or included
23	AB 020	-	საყოფაცხოვრებო ნარჩენების დაწვის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები	Residues arising from the combustion of municipal/household wastes
24	AB 030	-	ლითონთა ზედაპირის იმ პრე-პარატებით დამუშავების ნარჩენები, რომლებიც არ	Wastes from non-cyanide based systems which arise from surface treatment of

			შეიცავენ ციანიდებს	metals
25	AB 040	ex 7001 00	ელექტრონული მილაკებისა და სხვა აქტივირებული მინა	Glass waste from cathode-ray tubes and other activated glasses
26	AB 050	ex 2529 21	კალციუმის ფტორიდის ლამი	Calcium fluoride sludge
27	AB 060	-	ფტორის არაორგანული ნაერთების სხვა თხევადი ან წიდი-სებრი ნარჩენები	Other inorganic fluorine compounds in the form of liquids or sludges
28	AB 070	-	სასხმელ ოპერაციებში გამოყენებული ქვიშა	Sands used in foundry operation
29	AB 080	-	გამოყენებული კატალიზატორები, რომლებიც არ არის ჩართული მწვანე სიაში	Waste catalysts not on the green list
30	AB 090	-	ალუმინის ჰიდრატის ნარჩენები	Waste hydrates of aluminium
31	AB 100	-	ალუმინის ჟანგის ნარჩენები	Waste alumina
